აპლიკაცია: რა ვიცით ბუს შესახებ



„კეთილი ბებერი ბუები„

იყო ორი ბუ, ორივე ძალიან ბებრები და საბრალონი. შვილები აღარ უჩნდებოდათ. ისხდნენ ვეება მუხის ფულუროში და ან ეძინათ, ან თავის უბედობაზე ბუზღუნებდნენ: რაღაა ჩვენი სიცოცხლე, რისთვისღა ვარსებობთ ქვეყანაზეო.

ღამით ფულუროდან გამოფრინდებოდნენ, გათენებისას დაბრუნდებოდნენ თავიანთ ფულუროში და ეძინათ ზურგშექცეულებს, ან ისევ თავიანთ უბედობაზე იწყებდნენ ბუზღუნს.

მაგრამ ერთ საღამოს მათთვისაც მოხდა ახალი რამ.

ის იყო, ბებერი ბუები ფულუროდან უნდა გამოფრენილიყვნენ, რომ უჩვეულო ხმა შემოესმათ. ჩაიხედეს მირს და რას ხედავენ - ძალიან ლამაზი ბავშვი, რომ ვერც გაარჩევ , ბიჭია თუ გოგო, დგას, ფუნჩულა ხელები თვალებთან მიუტანია და ტირის. ერთხანს ასე იტირა ბავშვმა, მერე კი იქვე სმელ ფოთლებსა და ბალახებზე მიწვა და დაეძინა.

ბებერი ბუები ერთმანეთს უყურებდნენ **გიზგიზა** თვალებით: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

- შესცივდება, - თქვა დედა ბუმ.
- ჰო, შესცივდება, მიუგო მამა ბუმ.
- ღამღამობით ახლა ძალიან ცივა.
- მაგასაც ხომ ეყოლება დედა?
- დედაც ეყოლება და მამაც.
- ჩავფრინდეთ და ფრთები გადავაფარეთ.

ფულუროდან გამოფრინდნენ. ერთი-ორჯერ შემოუარეს ირგვლივ. დასძახოდნენ მძინარე ბავშვს, მაგრამ ბავშვი არ გატოკებულა.მაშინ ერთი ზინ ჩაუჯდა, მეორე-უკან, გაშალეს დიდი, მსუბუქი ფრთები, ბავშვს მთელ სიგრძეზე გადააფარეს და ასე გაშეშდნენ. ო, რა მშვენიერი სანახავი იყო ერთმანეთს ყბა-ყბა მიდგმული ორი თვალებგიზგიზა ბუ და მათი ფრთების ქვეშ მძინარე ბავშვი!

აცივდა ძალიან.ბებერი ბუები მაინც **გაშეშებულები** ისხდნენ და ამაყად თავაღერებული გადასცემდნენ თავიანთი სხეულის სითბოს პატარა და ლამაზ ბავშვს. პატარებს ხომ ღამღამობით ძალიან სჭირდებათ სითბო, ბუებსაც და ადამიანებსაც!

გათენებისას ტყეში ხმაური ატყდა, მოისმა ძაღლების ყეფა და თოფის სროლა. ბუებმა ერთხანს ითმინეს,ითმინეს, მაგრამ ვეღარ გაუძლეს შიშს, აფრინდნენ და მუხის ფულუროს
შეაფარეს თავი. მოირბინეს ადამიანებმა, ჩაიჩოქეს ბავშვთან, დაუწყეს კოცნა, ხელებით უსინჯავდნენ სხეულს, უკვირდათ, სულ რომ არ შესცივნოდა, ცისკენ იყურებოდნენ და ღმერთს სწირავდნენ მადლობას. ბებერი ბუებისაკენ კი არავის გაუხედავს .

ბებერი ბუები უყურებდნენ ადამიანებს და სანამ ჩაიმინებდნენ, ბუზღუნებდნენ: შუ-ბუ! შუ-ბუ! რაღაა ჩვენი სიცოცხლე!

ბუ

ბუ იდუმალი და საინტერესო ფრინველია. მას ბევრი უცნაური თვისება აქვს.

ბუ სხვა ფრინველებისგან დიდი თვალებით და ლამაზი, ჭრელი ბუმბულით გამოირჩევა. ის ღამის მტაცებელი ფრინველია. ყველაზე დიდი ზომის ბუ არის ზარნაშო მას ადამიანის ზომის თვალები აქვთ. ამ ფრინველების თვალი მეტად მგრძნობიარეა სინათლის მიმართ. ბუს თვალები პირდაპირ იყურება. ამას გარდა, ყურები არასიმეტრიული აქვს. ზოგს ჰგონია, ის მხედველობით ნადირობს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბუ სმენით ნადირობს. არასიმეტრიული ყურებიც იმიტომ სჭირდება, რომ სხვადასხვა კუთხით მიიღოს ინფორმაცია და უფრო ზუსტად დაადგინოს, სად არის მსხვერპლი.

ყველაზე უცნაური თვისება კი ის არის, რომ ბუს შეუძლია **ყ ვ ე ლ ა მ ხ ა რ ე ს შემოაბრუნოს თავი,** რასაც ვერც ერთი სხვა ფრინველი და ძუძუმწოვარი ვერ ახერხებს. ბუს რბილი და ფაფუკი ბუმბული ეხმარება იმაში, რომ ძალიან **ჩუმად იფრინოს.** ყველაზე დიდი ზომის ბუ - ზარნაშოს გაშლილი ფრთების სიგრძე 1,5 მეტრია და შეუძლია ისე მოფრინდეს ახლოს, რომ ვერც გაიგოთ. მსხვერპლსაც უჩუმრად უახლოვდება.

ბუს მთავარი საკვებია:

მღრღნელები, ასევე სხვა ძუძუმწოვრები, მცირე ზომის ფრინველები, ბაყაყები, ველები, ხვლიკები. ბუს ნისკარტი მოკაუჭებული აქვს, რომ ხორცი კარგად დააქუცმაცოს, კარგად განვითარებული კლანჭით კი მსხვერპლს იჭერს.

ბუს ნადირობის სტილი ასეთია: ერთხანს შემაღლებულ ადგილას ზის და მსხვერპლს დარაჯობს. კარგი მხედველობისა და სმენის წყალობით, სწრაფად იგებს თაგვების ადგილმდებარეობას და უეცრად თავს ესხმის.

ყველაზე **პატარა ზომის** ბუს ჰქვია წყრომი. ის შაშვისხელაა და სპეციფიკურ, სტვენასავით ხმას გამოსცემს. მისი გ ა შ ლ ილ ფ რ თ ე ბ ი ს ზ ო მ ა 50 სმ-მდეა. წყრომი, ძირითადად, მწერებით იკვებება, იშვიათად მღრღნელებით, რადგან დიდ მღრღნელებს ადვილად ვერ ერევა.

ზარნაშო

წყრომი

მოსწავლის სამუშაო მასალა
დალი ქოქოშვილი

სქემა N1

კითხვა	სავარაუდო პასუხი
როგორი თვალები აქვს ზარნაშოს?	
როგორი მხედველობა აქვს?	
რა ეხმარება ნადირობაში?	
რომელია ყველაზე დიდი ზომის ბუ?	
რომელია ყველაზე პატარა ზომის ბუ?	
დღის მტაცებელია თუ ღამის?	
რით იკვებება?	

სქემა N2

რა თვისებები გამოუგონა მწერალმა მოთხრობის პერსონაჟს?	**სინამდვილეში როგორი ყოფილა ბუ?**	**ივარაუდეთ, რა შეიძლება მომხდარიყო, ნაწარმოებში აღწერილ პერსონაჟს ფილმში აღწერილი თვისებებიც რომ ჰქონოდა?**